

## სამეცნიერო სტატიის სტრუქტურა

სამეცნიერო სტატიის სტრუქტურა მოიცავს არამარტო ტექსტს ძირითადი შინაარსით, არამედ სხვა სავალდებულო ელემენტებს, რომელთა შორისაა: სტატიის სათაური, ინფორმაცია ავტორის/ავტორების შესახებ, რეზიუმე/ანოტაცია (მშობლიურ და საერთაშორისო სამეცნიერო ენებზე), საძიებო სიტყვები, ძირითადი ტექსტი, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

**სტატიის სათაური** აირეკლავს სტატიის შინაარსს, თემატიკას და ჩატარებული სამეცნიერო კვლევის შედეგებს. მასში უნდა აისახოს კვლევის მოკლე და ზუსტი შეჯამება.

**ავტორის/ავტორების შესახებ ინფორმაციაში** ფიგურირებს სამეცნიერო ხარისხი, სამუშაო/სწავლის ადგილი, საკონტაქტო მონაცემები.

**რეზიუმე/ანოტაცია** ასახავს ჩატარებული კვლევის ძირითად, მნიშვნელოვან ეტაპებს, ობიექტებს, მათ ნიშნებსა თუ მახასიათებლებს, დასკვნებს. ქართულ ენაზე მისი რეკომენდებული მოცულობაა 300-500 ნიშანი (დაახლოებით, გვერდის მესამედი), ხოლო უცხოურ (ინგლისურ) ენაზე აუცილებელია გაფართოებული რეზიუმეს წარმოდგენა 1500 ნიშნის ფარგლებში (დაახლოებით, 1 გვერდი).

**საძიებო სიტყვები** - სიტყვათა ნაკრები, რომლებიც ასახავენ ტექსტის შინაარსს კვლევის ობიექტის, მეთოდების, შესაბამისი სამეცნიერო დარგის ტერმინებით. საძიებო სიტყვების რეკომენდებული რაოდენობაა 3-5, საძიებო ფრაზის შიგნით სიტყვათა რაოდენობა სასურველია არ აღემატებოდეს 3-ს.

**ძირითადი ტექსტი** - სტატიაში მკაფიოდ უნდა გამოიკვეთოს შემდეგი შემადგენელი ნაწილები:

1. შესავალი (Introduction);
2. მასალები და მეთოდები (Materials and Methods);
3. ძირითადი ნაწილი (Main Parts);
4. შედეგები (Results);
5. დასკვნა (Conclusions).

ჩამოთვლილი ნაწილები ერთმანეთისგან უნდა გამოიყოს შესაბამისი ქვესათაურებით და შეიცავდეს ყოველი კონკრეტული ნაწილისთვის რელევანტურ ინფორმაციას.

**შესავალში (Introduction)** - ავტორი მკითხველს აცნობს კვლევის საგანს, ამოცანებს, ეტაპებს; საშუალებას აძლევს, ჩასწვდეს ავტორთა ჰიპოთეზასა და მისი შემოწმების საშუალებებს.

**მასალებსა და მეთოდებში (Materials and Methods)** - ავტორი/ავტორები ყურადღებას ამახვილებენ ძირითად მეთოდიკებზე და არსებულ წყაროებზე.

**ძირითადი ნაწილი (Main Parts)** - უნდა ასახავდეს არამარტო არჩეულ ინსტრუმენტარიებსა და მიღებულ შედეგებს, არამედ თავად კვლევის პროცესსა და თანმიმდევრულ მსჯელობას, რომლის შედეგადაც კეთდება თეორიული დასკვნები. სამეცნიერო-პრაქტიკულ სტატიაში აუცილებელია აღიწეროს ექსპერიმენტებისა თუ სოციოლოგიური კვლევის სტადიები და ეტაპები, შუალედური შედეგები და საერთო დასკვნის დასაბუთება.

**შედეგებში (Results)** - ერთიანდება ჩატარებული კვლევის მიღწევების თეზისები. ისინი შეიძლება წარმოდგენილ იქნენ როგორც წერილობითი, ისე ცხრილების, გრაფიკების, რიცხვებისა და სტატისტიკური მაჩვენებლების სახით, რომლებიც ახასიათებენ გამოვლენილ ძირითად კანონზომიერებებს.

**დასკვნის (Conclusions)** - ნაწილში ავტორები ყურადღებას ამახვილებენ მათი ნაშრომის მნიშვნელობაზე, უპირველეს ყოვლისა, სუბიექტური მოსაზრებების საფუძველზე. მათ შეუძლიათ შედეგების ინტერპრეტირება საკუთარი გამოცდილების, საბაზო ცოდნისა და სამეცნიერო პოტენციალის შეჯერების საფუძველზე რამოდენიმე შესაძლო განმარტების წარმოჩენით.

### **მოთხოვნები სტატიების გამოსაქვეყნებლად**

1. სტატიები წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, რეზიუმე ინგლისურად, არა ნაკლებ 600 სიტყვისა - არა უმეტეს ერთი გვერდისა.
2. ფურცლის ფორმატი - A4, შრიფტი - "Sylfaen", ზომა - 11, სტრიქონებს შორის მანძილი - 1, ველების მანძილი (ყველა მხრიდან) - 2 სმ.
3. გვერდის მარცხენა კუთხეში მითითებული უნდა იყოს ავტორის (თანაავტორის) სახელი და გვარი, უნივერსიტეტი.
4. ბიბლიოგრაფია წარმოდგენილ უნდა იქნას ნაშრომის ბოლოს ანბანური თანმიმდევრობით. ჯერ გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ - უცხოურ ენებზე. ნუსხაში უნდა მიეთითოს:

#### **წიგნის ან მონოგრაფიის გამოყენების შემთხვევაში:**

- ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები
- გამოცემის წელი
- სახელწოდება (დახრილი შრიფტი)
- გამოცემის ადგილი
- გამომცემლობა

მაგ.: შენგელია გ. 2003. საქართველოს ისტორია. თბილისი. განათლება.

#### **პერიოდული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში:**

- ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები
- წელი
- ნაშრომის სახელწოდება
- სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება (დახრილი შრიფტი)
- ტომის ნომერი
- გამოცემის ნომერი
- გვერდები, რომელზეც განთავსებულია ნაშრომი

მაგ.: შენგელია გ. 2003. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. კავკასია, 15 (21), 12-15.

შენგელია გ. 2003. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. კავკასია, იანვარი, 12-15.

#### **ინტერნეტის გამოყენების შემთხვევაში:**

- მასალის ავტორი
- ვებ-გვერდის ავტორი
- მასალის დასახელება ლინკის მინიშნებით
- ვებ-გვერდის მისამართი
- მასალის მოძიების თარიღი

მაგ.: ბრაუნი ტ. ბრიტანეთის სამართლის საფუძვლები. ზოგადი განათლება. www . . .  
(15.02.2005).

**ელექტრონული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში:**

- სტატიის ავტორი (გვარი, ინიციალები)
- წელი
- სტატიის დასახელება
- ელექტრონული გამოცემის დასახელება (დახრილი შრიფტი)
- გამოცემის ნომერი
- თავი, პარაგრაფი (იწერება ფრჩხილებში)
- ვებ-გვერდის მისამართი
- მასალის მოძიების თარიღი

მაგ.: კოილი მ. 2003. თავისუფლების აქტის . . . . ევროპის ფორუმი 3 (5). www . . .  
(15.06.2003).

**სახელისუფლებო დოკუმენტების გამოყენების შემთხვევაში:**

- ქვეყნის დასახელება
- უწყების დასახელება, რომელსაც ეკუთვნის დოკუმენტი
- წელი იმ გამოცემისა, სადაც მოძიებულ იქნა მითითებული დოკუმენტი
- დოკუმენტის სახე (ბრძანება, კანონი...)
- დოკუმენტის დასახელება შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომრისა და წლის მინიშნებით
- ადგილი იმ გამოცემისა, რომელშიც მოძიებულია მითითებული დოკუმენტი
- გამოცემის დასახელება, რომელშიც მოძიებული იქნა მითითებული დოკუმენტი

მაგ.: საქართველო. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. 2005. მინისტრის ბრძანება:  
... ცვლილებების შესახებ . . . (639, 5.09.2005). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე #115.

5. ტექსტში, გამოყენებული ლიტერატურა, უნდა მიენიშნოს შემდეგნაირად: ციტატის ბოლოს იხსნება ფრჩხილი, სადაც იწერება დასახელებული ლიტერატურის რიგითი ნომერი თანდართული ნუსხის მიხედვით და გამოიყოფა მძიმით. შემდეგ კი მიეთითება გვერდები, საიდანაც აღებულია ციტატა ან თეზისი. მაგ.: (15, 150-161).

### **Requirements for publications**

1. Articles should be presented in the native language, summary in the English languages no less than 600 words – no more than 1 page.
2. Paper format – A-4, font “Sylfaen”, size – 11, line spacing – 1, margins – 2 cm.
3. An author’s (co-author’s) name and last name as well as the university should be indicated on the left side of the paper.
4. Instruction about references. See the example:

### **Monograph / Text-book**

Mikaberidze K. 2010. Modern Georgian Linguistics. Tbilisi: Ganatleba.

### **Articles in journals**

Mikaberidze K. 2011. Urgent Issues of Georgian Linguistics. *University Herald*. 15 (21), 12-15.